

## 2013-2014 სასწავლო წელი

**დაგეგმილი აქტივობა:** 2013-2014 სასწავლო წელს სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალის ჩართვა კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროექტებში/აქტივობებში ევროპის წამყვან პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

**შესრულებული საქმიანობები:** ამ თვალსაზრისით ერთთვიანი გადამზადების პროგრამით პოლონეთსა (ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი) და რუმინეთში (ბაბეშ ბოიას უნივერსიტეტი), პარტნიორი უნივერსიტეტებში იმყოფებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც გაეცნო აღნიშნული უნივერსიტეტების საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტების საქმიანობას. სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს ტემპუსის პროგრამის ფარგლებში გადამზადებული ორი მასწავლებელი/ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებიც უძღვებიან კარიერის განათლებას სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც კარიერის ცენტრში არსებული კურსებით/ტრენინგებით/სემინარებით დაინტერესებულ პირთათვის, ასევე უნივერსიტეტში მიმდინარე კურიკულუმების ფარგლებში ჩასმული სავალდებულო/არჩევითი კურსის „კარიერის მართვა“ შემსწავლელი სტუდენტებისთვის. (ორენოვანი)

**დაგეგმილი აქტივობა:** სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო პროგრამების გამოყენება სასწავლო უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოზიდვის მიზნით. მიზნის მიღწევისთვის ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად ზრუნვა. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის საერთო საცხოვრებლის უზრუნველყოფა.

**შესრულებული საქმიანობები:** მიმდინარე წლის ნოემბრიდან დაწყებულია საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

**დაგეგმილი აქტივობა:** უცხო ენის (ინგლისური) სწავლების გაძლიერება და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ენის სწავლების ხელშეწყობის მექანიზმების ამუშავება. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში უცხო ენის კრედიტებით გათვალისწინებული შედეგების გარდა, დამატებითი მექანიზმების შემუშავება ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის გამოყენების გზით.

**შესრულებული საქმიანობები:** სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბრიდან ჩაატარებს სპეციალურ სასწავლო კურსებს და დონის განსასაზღვრ გამოცდებს ერასმუსის პროგრამებში ჩართული სტუდენტებისათვის, რათა გასცეს შესაბამისი სერტიფიკატები და ასევე უზრუნველყოფს ინგლისური ენის სათანადო დონეზე ცოდნა.

**დაგეგმილი აქტივობა:** სასწავლო უნივერსიტეტების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების გააქტიურება სასწავლო უნივერსიტეტისთვის რეგიონის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრისა და საჭიროებების დადგენის თვალსაზრისით, კერძოდ: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საგანაწარმო სემესტრისთვის შეხვედრა სკოლის დამამთავრებელ მოსწავლეებთან მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების შესასწავლად, რათა

სასწავლო უნივერსიტეტი პასუხობდეს სრულად მისიას და იყოს რეგიონში კონკურენტუნარიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დამსაქმებელთათვის სანდო პარტნიორი.

**შესრულებული საქმიანობები:** უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა ბაზრის კვლევა, შეხვედრა დამსაქმებლებთან, საინფორმაციო შეხვედრები სკოლებში, შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტმა მიმდინარე წლის ოქტომბერში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უკვე წარადგინა სააკრედიტაციოდ შემდეგი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები: სამართალი, საჯარო მმართველობა (ავტორიზებული), დაწყებითი განათლებისა და მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული პროგრამები წარდგენილია რეგიონის მოთხოვნისა და ახალგაზრდების საჭიროებების დადგენის შესწავლის საფუძველზე. გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შესაბამის დამსაქმებლებთან.

**დაგეგმილი აქტივობა:** სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი, საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ჩართულობა, CV-ის განახლება, სამეცნიერო შრომათა კრებულის მონიტორინგი, საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარება.

**შესრულებული საქმიანობები:** სასწავლო უნივერსიტეტმა შრომათა კრებულის აკადემიურობის გაზრდის მოთხოვნის გათვალისწინებით, ცალკეული დარგების ფარგლებში მოიწვია უცხოელი სპეციალისტები შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგიაში. განახლდა ყველა CV ევროპასის ფორმატის შესაბამისად. სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა მსოფლიო ფოლკლორისტა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წლიური კონფერენცია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ინიციატივით მსოფლიო 13 ქვეყნის 30 წარმომადგენლის მონაწილეობით. აღნიშნული კონფერენციის ფარგლებში 2015 წლისთვის დაიბეჭდება მომხსენებელთა შრომების კრებული. სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის მიმართულების აკადემიური პერსონალის ინიციატივით დაიბეჭდა კომპარატივისტული კვლევების კრებული, რომელიც შემუშავდა კომპარატივისტიკის ასოციაციასთან ერთად. ასევე სასწავლო უნივერსიტეტმა უმასპინძლა ერასმუსის პროექტის ფარგლებში ამავე უნივერსიტეტში მიმდინარე პროგრამის EFFORT -ის კონსორციუმის შეხვედრას და ასევე საქართველოში მოქმედი ერასმუსის პროგრამების პრომოტორს, რომლის ფარგლებშიც სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი HERMES -ისა და EMBER პრომოც განხორციელდა.

**დაგეგმილი აქტივობა:** სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუდმივი მონიტორინგი სასწავლო მასალებით უზრუნველყოფისა და სამეცნიერო ლიტერატურით/სახელმძღვანელოებით შევსების/განახლების მიზნით. სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების გამოკითხვის საფუძველზე საჭიროებების დადგენა.

**შესრულებული საქმიანობები:** სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ჩართულია ელსევიერის პროგრამა და ასევე ბიბლიოთეკა განახლდა უახლესი ლიტერატურით. შეძენილ იქნა 10 000 ლარის ლიტერატურა, ასევე ტემპუსის პროგრამის ფარგლებში ბიბლიოთეკას მიეწოდა კარიერის განვითარების კურსის სწავლებისთვის საჭირო 150-მდე უცხოენოვანი (ინგლისური) წიგნი.

**დაგეგმილი აქტივობა:** სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შემოწმება, სასწავლო პროცესისა და საზოგადოებრივი აქტივობების შესაბამისად სტუდენტური ინიციატივების წახალისება. ექსკურსიებისა და შემოქმედებითი ტურების მოწყობა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. მათი მუდმივი ჩართვა ეროვნულ დასაერთაშორისო

პროექტებში საზოგადოებრივი დაკვეთებისა და მის წინაშე პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით.

**შესრულებული საქმიანობები:** სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კონფერენციების მონიტორინგის შედეგებმა უჩვენა, რომ აუცილებელია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება. კონფერენციებში მონაწილე სტუდენტებისა და პერსონალის წახალისების მექანიზმების შემუშავება. ამ მიზნით განხორციელებული საქმიანობები შემდგომში დაიხვეწება და საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა მოხდება არა მარტო სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებულის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, არამედ სტუდენტთა კონფერენციების მხრითაც. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმის მიხედვით შესრულდა შემოქმედებითი ექსკურსიები, სხვადასხვა შემეცნებითი და ექსტრა კურიკულუმის აქტივობები, როგორცაა: მონაწილეობა „ეტალონში“, საზრიანთა კლუბში: „რა, სად როდის“, სტუდენტები ჩართული არიან არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად რეგიონში განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებში. ამჟამად მონაწილეობენ საქართველოს აღწერის პროექტში, ფაქტიურად რეგიონის აღწერის საქმიანობაში ჩართული ძირითადი პოტენციალი არიან სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები.

**დაგეგმილი აქტივობა:** სტუდენტთა პრაქტიკის საათებისა და პრაქტიკის ობიექტების მონიტორინგი სწავლისა და სწავლების გარემოს შესწავლისა და სასწავლო პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მიღწევის მიზნით.

**შესრულებული საქმიანობები:** გაიზარდა პრაქტიკის ობიექტების რიცხვი, გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში სტუდენტები გადიან სტაჟირებას შესაბამის ობიექტებში. მიმდინარეობს პრაქტიკის ობიექტების მონიტორინგი. შეიქმნა კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა/რეესტრი და მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა დამსაქმებლებთან მათი დასაქმების თვალსაზრისით.

**დაგეგმილი აქტივობა:** სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გვერდის გახსნა სასწავლო უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, რომელზეც განთავსდება ფორუმი, სადაც კურსდამთავრებულებს მიეცემათ საშუალება თავიანთი გამოცდილებები გაუზიარონ აქტიურ სტუდენტებს. კურსდამთავრებულთათვის სასწავლო უნივერსიტეტის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების გარემოდ ჩამოყალიბება.

**შესრულებული საქმიანობები:** სასწავლო უნივერსიტეტს აქვს ტემპუსის პროგრამის ფარგლებში გახსნილი კარიერის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატიკის მონაცემების შეგროვებას, რომელიც პასუხისმგებელია ალუმნაის დასაქმების ხელშეწყობის განათლებაზე. კარიერის მართვის კურსები ხელმისაწვდომია როგორც სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, ასევე კურსდამთავრებულთა და სხვა ბენეფიციართათვის. კარიერის ცენტრი უზრუნველყოფს რეგიონის დამსაქმებელთა ჩართვას სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდის ალუმნაის ფორუმში, მათი კარიერული მოთხოვნებისა და საჭიროებების დადგენის მიზნით. ტემპუსის პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების გამოყენებით რეგიონის კარიერული მოთხოვნების დადგენას შემდგომში სტუდენტთა და ბენეფიციართა კარიერული განათლების უზრუნველყოფის მიზნით.

## გეგმა/აქტივობები 2013-2014 სასწავლო წელი

**დაგეგმილი აქტივობა:** 2013-2014 სასწავლო წელს სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალის ჩართვა კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროექტებში/აქტივობებში ევროპის წამყვან პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

**დაგეგმილი აქტივობა:** სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო პროგრამების გამოყენება სასწავლო უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოზიდვის მიზნით. მიზნის მიღწევისთვის ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად ზრუნვა. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის საერთო საცხოვრებლის უზრუნველყოფა.

**დაგეგმილი აქტივობა:** უცხო ენის (ინგლისური) სწავლების გაძლიერება და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ენის სწავლების ხელშეწყობის მექანიზმების ამუშავება. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში უცხო ენის კრედიტებით გათვალისწინებული შედეგების გარდა, დამატებითი მექანიზმების შემუშავება ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის გამოყენების გზით.

**დაგეგმილი აქტივობა:** სასწავლო უნივერსიტეტების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების გააქტიურება სასწავლო უნივერსიტეტისთვის რეგიონის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრისა და საჭიროებების დადგენის თვალსაზრისით, კერძოდ: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საგანმანათლებლო სემესტრისთვის შეხვედრა სკოლის დამამთავრებელ მოსწავლეებთან მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების შესასწავლად, რათა სასწავლო უნივერსიტეტი პასუხობდეს სრულად მისიას და იყოს რეგიონში კონკურენტუნარიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დამსაქმებელთათვის სანდო პარტნიორი.

**დაგეგმილი აქტივობა:** სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი, საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ჩართულობა, CV-ის განახლება, სამეცნიერო შრომათა კრებულის მონიტორინგი, საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარება.

**დაგეგმილი აქტივობა:** სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუდმივი მონიტორინგი სასწავლო მასალებით უზრუნველყოფისა და სამეცნიერო ლიტერატურით/სახელმძღვანელოებით შევსების/განახლების მიზნით. სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების გამოკითხვის საფუძველზე საჭიროებების დადგენა.

*დაგეგმილი აქტივობა:* სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შემოწმება, სასწავლო პროცესისა და საზოგადოებრივი აქტივობების შესაბამისად სტუდენტური ინიციატივების წახალისება. ექსკურსიებისა და შემოქმედებითი ტურების მოწყობა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. მათი მუდმივი ჩართვა ეროვნულ დასაერთაშორისო პროექტებში საზოგადოებრივი დაკვეთებისა და მის წინაშე პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით.

*დაგეგმილი აქტივობა:* სტუდენტთა პრაქტიკის საათებისა და პრაქტიკის ობიექტების მონიტორინგი სწავლისა და სწავლების გარემოს შესწავლისა და სასწავლო პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მიღწევის მიზნით.

*დაგეგმილი აქტივობა:* სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გვერდის გახსნა სასწავლო უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, რომელზეც განთავსდება ფორუმი, სადაც კურსდამთავრებულებს მიეცემათ საშუალება თავიანთი გამოცდილებები გაუზიარონ აქტიურ სტუდენტებს. კურსდამთავრებულთათვის სასწავლო უნივერსიტეტის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების გარემოდ ჩამოყალიბება.